საქართველოს მთავრობის

განკარგულება №2219

2016 წლის 19 ოქტომბერი

ქ. თბილისი

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოსათვის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლისა და „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული წესის 27^1 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ფონდის 199 ჰა მიწის ფართობზე (მათ შორის: ლენტეხის სატყეო უბნის ხოფურის სატყეოს №31 კვარტლის №8 ლიტერში – 5 ჰა; №31 კვარტლის №9 ლიტერში – 7 ჰა; №31 კვარტლის №11 ლიტერში – 7 ჰა; №31 კვარტლის №12 ლიტერში – 10 ჰა; №34 კვარტლის №5 ლიტერში – 10 ჰა და №34 კვარტლის №8 ლიტერში – 7 ჰა, სულ – ხოფურის სატყეოში – 46 ჰა; ხელედის სატყეოს №13 კვარტლის №10 ლიტერში – 27 ჰა; №22 კვარტლის №15 ლიტერში – 25 ჰა; №31 კვარტლის №7 ლიტერში – 17 ჰა; №32 კვარტლის №2 ლიტერში – 35 ჰა; №67 კვარტლის №1 ლიტერში – 4 ჰა და №67 კვარტლის №2 ლიტერში – 45 ჰა, სულ – ხელედის სატყეოში – 153 ჰა), ტყის მდგრადი მართვის პრინციპებიდან გამომდინარე, სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის (ხე-მცენარეების ჭრის უფლებით) ვადა სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოს განესაზღვროს 2 (ორი) წლით.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი